ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში მუნიციპალიტეტი) მიერ სოციალური დახმარების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, ბენეფიციართა კატეგორიებს, დახმარების დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს. სოციალური დახმარების მიღება შეუძლიათ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირებს.

ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამებში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

თავი I

სოციალური დახმარების სახეები, ბენეფიციართა კატეგორიები და მის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი 1. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. ქვეპრგრამის მოსარგებლეები არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ჩოხატაურის მუნიციციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ერთჯერად ფულად დახმარებას ახალშობილის დაბადებისას- 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ახალსობილის დაბადების წლის განმავლობაში ან მომდევნო წლის 1 მარტამდე.

3. დახმარების მისაღებად ახალსობილის ერთ-ერთმა მშობელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმაოდგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ახალშობილის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ;

ე) ქორწინების მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

ვ) მშობლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები;

4. დახმარება გაიცემა მუნციციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 2. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი.

1. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ოჯახის წევრის ან დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება ;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ომის მონაწილის ბარათის ქსეროასლი;

დ) ომის მონაწილი გარდაცვალების მოწმობის ასლი;

ე) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები.

2. გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

3. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 3. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახებისა და დაზარალებული პირების დახმარება

1.დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმ,ენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილის პირადპირი მემკვიდრის დამადასტურებელი დოკუმენტი

ე) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა;

ვ) საბანკო რეკვიზიტები;

2. ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს:

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე საბრძოლო ჭრილობების შედეგად 1993 წლის 30 სექტემბრის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის ოჯახს 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ბ) ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით გამართული მშვიდობიანიანი აქციის დროს დარბევის შედეგად დაზარალებული (მოწამლული) პირებისათვის 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. ერთჯერადი ფულადი დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მიიღებს:

ა) ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად გარდაცვლილი პირის ერთი ოჯახი და ორი დაზარალებული (მოწამლული) პირი.

ბ) აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის სამი ოჯახი და აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღუპული მეომრის რვა ოჯახი;

გ) ზამთრის სეზონთან დაკავშირებით შეშის შესაძენად გარდცვლილი მეომრის თითოეული ოჯახი და დაზარალებული პირები დამატებით მიიღებენ 200 (ორასი) ლარს.

4. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. (ერთჯერადი ფულადი დახმარება და შეშის შესაძენი თანხა გაიცემა დაზუსტებული სიის მიხედვით).

მუხლი 4. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით და ზამთრის სეზონისათვის სათბობი შეშის შესაძენად ერთჯერადი ფულადი დახმარება

1.დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში ბენეფიციარმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ომის მონაწილის პირადობის მოწმობის და ომის ვეტერანის ბარათის ასლები;

გ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები;

2. დახმარების ოდენობა ომის თითოეულ მონაწილეზე განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო სათბობი შეშის შესაძენად 200 (ორასი) ლარით.

3. თანხა გაიცემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 5. მარტოხელა, მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (რომელთაც არ ჰყავთ პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, მეუღლე, ბებია, ბაბუა, შვილი, გერი, შვილიშვილი)

1.სარიტუალო მომსახურების თანხის მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცამები;

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

2. მარტოხელა მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 250(ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

3. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 6.100 წელს მიღწეული მოქალაქეთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება

1.ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

2. ფულადი დახმარება განისაზრვრება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. განსაზღვრული დახმარება გაიცემა ერთჯერადად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში მოსარგებლის ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

4. დახმარების მისაღებად განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;

გ) მოსარგებლის საბანკო რეკვიზიტები;

5. ფულად დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 7. იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დახმარება

1. დახმარებით ისარგებლებენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

2. ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს:

ა) ზამთრისათვის საჭირო სათბობი შეშის შესაძენად თითოეული ოჯახისათვის 200 (ორასი) ლარით;

ბ) დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი დევნილის ოჯახის დახმარებაზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

გ) დევნილი ოჯახის გარდაუვალ აუცილებლობასთან დაკავშირებით 100 (ასი) ლარი;

2.დახმარების მისაღებად განმცხადებელმა/წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს:

ა) ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის/წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

ბ) ამ მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ოჯახის წევრის ან დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება;

გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იძულებით გადაადგილებულ პირის/დევნილის დამადასტურებელი საბუთის ასლი;

ე)იძულებით გადაადგილებულ პირის/დევნილის გარდაცვალების ცნობა, დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში;

ვ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები;

ზ) მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა (შუამდგომლობა);

თ) ამ მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინების შემთხვევაში ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს მოქალაქის პირადობისა და დევნილის მოწმობის ასლები, ასევე ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები.

4. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 8. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ფართის დაქირავება)

1. დახმარების მისაღებად მოქალაქემ მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ადმინისტრაციული ერთეულის მერის წამომადგენლის შუამდგომლობა;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები;

2. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ და დაზარალებულ ოჯახთა მდგომარეობას შეისწავლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

3. სამუშაო ჯგუფის მიერ სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით შეირჩევა ოჯახები და სათანადო დასკვნის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი დახმარება;

4. მძიმე საცხოვრებელ პირობებში სტიქიური მოვლენების და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულ ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე, ხოლო დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის ბინის ქირის ოდენობა 110 (ას ათი) ლარით;

5. დახმარება გაიცემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 9. 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარება

1.დედ-მამით ობოლი ბავშვების კანონიერმა წარმომადგენელმა დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) კანონიერი წარმომადგენელის პირადობის მოწმობის
ასლი;

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის მოწმობის ასლი;

ე) კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები.

2. თითოეული ბენეფიციარისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს 200 (ორასი) ლარით;

3. ბენეფიციარები, რომლებიც 2020 წლის პირველი იანვრისთვის სარგებლობენ მე-9 მუხლით გათვალისწინებული დახმარებით მათზე ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება, გარდა კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის შემთხვევისა.

4. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 10. მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფულადი დახმარება

1. მრავალშვილიან ოჯახებზე, რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში - გაიცემა ყოველთვიური ფულადი დახმარება, თუ მათი სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-ის ჩათვლითაა.

2. დახმარების დასანიშნად მშობლებმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები;

ე) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის

შესახებ.

3. ფულადი დახმარება განისაზღვრება თითოეულ ბავშვზე თვეში 25 ლარის ოდენობით.

4. ყოველთვიური ფულადი დახმარება ირიცხება განმცხადებლის პირად ანგარიშზე.

5. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 11. ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარება

1.ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირები, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მკურნალობას და ცილაგამოცლილი პროდუქტებით კვებას.

2.ქვეპროგრამის მოსარგებლე პირები, ბენეფიციარის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი მიიღებს ყოველთვიურ ფულად დახმარებას 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო ცილაგამოცლილი პროდუქტების მოთხოვნის შემთხვევაში თანხა ხელშეკრულების საფუძველზე გადაერიცხება პროდუქტების შემომტან ორგანიზაციას.

3. დახმარების მისაღებად ფენილკეტონურიით დაავადებულმა ბენეფიციარმა, ერთ-ერთმა მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიცპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა № IV-100/ა ;

დ) ბენეფიციარის დაბადების/პირადობის მოწმობის ასლი;

ე) საბანკო რეკვიზიტების მონაცემები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ბენეფიციარის ან ბენეფიციარის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) მიმართ არ ვრცელდება.

5. ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ მე-11 მუხლით გათვალისწინებული დახმარებით მათზე ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“, ,,გ“ და ,,ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება.

6.ფულადი დახმარება გაცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 12. სოციალურად დაუცველი 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წელზე მეტი ასაკის პირების სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირების მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1.დახმარების მისაღებად განმცხდაებელმა (უფლებამოსილმა პირმა) მუნიციპალიტეტის მერიაში

უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა№ IV-100/ა);

დ)სამედიცინო დაწესებულების /აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული კალკულაცია/ ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი;

ე) შშმ პირის დამადასტურებელი საბუთი;

ვ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ზ) ომის მონაწილე პირის ვეტერანის მოწმობის ასლი;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის მოტხოვნა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე და შშმ პირებზე არ ვრცელდება.

3. მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება განისაზღვროს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირებისათვის 150 (ასორმოცდაათი), ხოლო დანარჩენი ბენეფიციარებისათვის 100 (ასი) ლარით.

4. სტაციონალური სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება თანადაფინანსების სახით განისაზღვროს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირებისა და შშმ ბენეფიციარებისათვის არაუმეტეს 400 ოთხასი) ლარისა.

5. 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება თანადაფინანსების სახით, კერძოდ:

პაციენტის გადასახდელი თანხა 200 ლარამდე ანაზღაურდება 100 პროცენტით;

პაციენტის გადასახდელი თანხა 500 ლარამდე ანაზღაურდება 50 პროცენტით, 1000 ლარამდე 300 ლარით, ხოლო 1000 (ათასი) ლარზე მეტი ანაზღაურდება 400 ლარის ოდენობით;

6. თანხა ჩაერიცხოს მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას/აფთიაქს საბანკო რეკვიზიტებზე, წარმოდეგნილი დოკუმენტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების საფუზველზე).

მუხლი 13. 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომუნალური გადასახადებისათვის დახმარება.

1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის ერთ-ერთმა მშობელმა (კანონიერმა წარმომადგენელმა) მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა;

ბ) შშმ პირის პირადობის, ან დაბადების მოწმობის ასლი;

გ) შშმ პირის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) საბანკო რეკვიზიტები;

2. ყოველთვიური დახმარების ოდენობა თითოეულ ბავშვზე განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით;

3. თანხა გაიცემა ყოველთვიურად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 14. 0-იდან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება

1. დახმარების მისაღებად ერთ-ერთმა მშობელმა/წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) 0-იდან 18 წლამდე ასაკის შშმ პირის დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) და სააფთიაქო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;

ე) შშმ პირის დამადასტურებელი საბუთი;

2.თანხა ერთჯერადად ჩაირიცხება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა.

მუხლი 15. ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურების თანადფინანსება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებას (ოპერაციულ მკურნალობას, კვლევებისჩატარებასა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა).

2. თითოეული ბენეფიციარის სტაციონალური სამედიცინო მკურნალობის ხარჯის ანაზღაურება განისაზღვროს არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით.

- თითოეული ბენეფიციარის კვლევების ჩატარებისა და მედიკამენტების ღირებულების ასანაზღაურებლი თანხა განისაზღვროს 200-200 (ორას-ორასი) ლარით.

3.დახმარების მისაღებად განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერლობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა N IV -100/ა);

დ) შესაბამისი სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულებიდან ანგარიშ-ფაქტურა;

4. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო რეკვიზიტებზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად,მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდიალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 16. 0-დან 18 წლამდე ასაკის პირების სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.

1. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის

ასლი;

გ) 0-დან 18 წლამდე ასაკის პირის დაბადების ან პირადობის დ მადასტურებელი მოწმობის

ასლი;

დ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) და ანგარიშ-ფაქტურა;

ე) ბენეფიციარისათვის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება თანადაფინანსების სახით განისაზღვროს არაუმეტეს 300 (სამასი) ლარით.

2.თანხა ჩაირიცხოს შესაბამის სამედიცინო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტებზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 17. თირკმლის უკმარისობით დაავადებული დიალეზზე მყოფი პირების ყოველთვიური დახმარება

1. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დიალეზის კურსის ჩატარებას.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ყოველთვიურად 140 (ასორმოცი) ლარს მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.

3. დახმარების დასანიშნად ქვეპროგრამის მოსარგელემ მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა დიალეზის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების

მონაცემები.

4. ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარებით, მათზე ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნა არ ვრცელდება.

5. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 18. 0-დან 18 წლამდე ასაკის გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკით), ლეიკემიით, ეპილეფსიით, ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა სტაციონარული მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება.

1.დახმარების მისაღებად ბენეფიციარის მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ალი;

გ) 0-დან 18 წლამდე ასაკის პირის დაბადების ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ცნობა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა IV-100/ა) და ანგარიშ-ფაქტურა;

2. გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი), ლეიკემიით, ეპილეფსიით და ცერემბრალური დამბლით დაავადებული პირების სტაციონარული მკურნალობის ხარჯის თანადაფინანსება განისაზღვროს არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. თანხა ჩაირიცხოს მომსახურე სამედიიცნო დაწესებულებას საბანკო რეკვიზიტებზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 19. ჰემოფილიით დაავადებულ პირთა დახმარება

1. ჰემოფილიით დაავადებული პირები ერთჯერად დახმარებას მიიღებენ იმ სამედიცინო მომსახურებისათვის, რომელიც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება

2. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა, ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დახმარების მიმღების დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა N IV-100/ა) და ანგარიშფაქტურა სამედიცინო მომსახურების შესახებ;

ე) ბენეფიცირის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტები;

ვ) ფულადი დახმარება საბიუჯეტო წლის განმავლობაში განისაზღვროს თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

3. თანხა ჩაირიცხება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 20. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება

1.მუნიციპალიტეტის მერის მიერ თანადაფინანსებას ექვემდებარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მიზნით იურიდიული პირების მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი წარმოდგენილი პროექტები.

2. პროექტის თანადასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;

ბ) თანადაფინანსების მომთხოვნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;

გ) დასაფინანსებელი პროგრამა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;

დ) პროგრამის მონაწილე პირთა რაოდენობა და ბენეფიციართა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

3.თანხა ჩაირიცხება იურიდიული პირის საბანკო რეკვიზიტებზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 21. განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა დახმარება

1. ქვეპროგრამის მომსახურები არიან პირები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობას და ჯანმრთელობის ხელსეწყობის მიზნით მუდმივ მონიტორინს.

2.დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან ბენეფიციარი მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამადიცინო დაწესებულებიდან ფორმა № IV-100/ა

დ) შშმ პირის სტატუსის (მკვეთრად გამოხატული) დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);

ე) დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები;

2. ყოველთვიური ფულადი დახმარება თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვროს 100 (ასი) ლრის ოდენობით;

3. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 22. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დახმარება

1. პროგრამის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნების გამო ამორიცხული 18-24 წლის ახალგაზრდები, რომლებმა სახელმწიფო სზრუნვის სისტემაში სულ მცირე 2 წელი გაატარეს.

2.დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან მხარდამჭერმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი რაიონული განყოფილების გადაწყვეტილება მინდობით აღზრდის პროგრამის დახურვის შესახებ;

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები.

ე) სხვა საჭირო დოკუმენტაცია სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად.

2. თითოეულ ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარამდე.

3.თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 23. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/ბენეფიციართა ფულადი დახმარება

1.1 მსხვერპლმა/ბენეფიციარმა დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა

წარმოდაგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დოკუმენტი ძალადობის მსხვერპლობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან ან/და სასამართლოდან.

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები.

1.2 ბენეფიციარის განცხადებას შეისწავლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში არსებული სამუშაო ჯგუფი და სათანადო დასკვნით განისაზღვრება დახმარების ზუსტი ოდენობა.

1.3 თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1500 ლარამდე.

2. ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციევი ქალებისათვის დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ უნდა იქნას:

ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;

ბ) თანადაფინანსების მომთხოვნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;

გ) დასაფინანსებელი პროგრამა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;

დ)პროგრამაში მონაწილე პირთა რაოდენობა და ბენეფიციართა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

3.ძალადობის წინააღდეგ კვირეულის ფარგლებში (25.11.2019-10.12.2019 წწ) ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობისთვის პროექტის თანადაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ უნდა იქნას:

ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;

ბ) პროექტში მონაწილე პირთა რაოდენობა და დაგეგმილი ღონისძიების პროექტი.

მუხლი 24. მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

1.მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურებაზე დაფინანსებას

მიიღებენ:

ა) 6 წლამდე ასაკის ბავშვები;

ბ) შშმ პირები და სოციალურად დაუცველი პირები 18 წლის ასაკამდე, რომელთაც მინიჭებული აქვთ 100 001-მდე სარეიტინგო ქულა;

2. დახმარების მისაღებად ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა № IV-100/ა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ბენეფიციარის ძირითადი დიაგნოზი და ანგარიშ-ფაქტურა;

დ) დაბადების მოწმობის ასლი;

3.დახმარების მისაღებად ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა № IV-100/ა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ბენეფიციარის ძირითადი დიაგნოზი და ანგარიშ-ფაქტურა;

დ) დაბადების მოწმობის ასლი;

ე) ამონაწერი სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ ან/და შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ)სამედიცინო მომსახურების თანხა თითოეულ ბენეფიციარზე საბიუჯეტო წელიწადში განისაზღვროს არაუმეტეს 300 (სამასი) ლარით;

4.თანხა ჩაირიცხება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, საბანკო რეკვიზიტებზე.

მუხლი 25. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია კონოროგრაფია, ანგიოგრაფია და სხვა) დაფინანსება.

1.ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ არემატება 100 000-ს ერთეულს.

2.ქვეპროგრამის მოსარგებლის სამედიცინო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 200 (ორასი) ლარით.

ბენეფიციარებს, რომლებსაც აღნიშნული კვლევა მთლიანად ან ნაწილობრივ უფინანსდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით ან რომელიმე სადაზღეო კომპანიის მიერ, ვერ ისარგებლებენ ამ მუხლით;

3.დახმარების მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N IV-100/ა, ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) სამედიცინო მომსახურების შესახებ

გ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ

დ) მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა

ე) სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად

4. თანხა ჩაერიცხება მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას მერის ინდივიდუალური

ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე.

თავი II

სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 29. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სამსახური 1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. (შემდგომში სამსახური).

2. სამსახური პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) სიების კომპიუტერულ დამუშავებაზე.

ე) ბინის ქირის საფასურის დაფინანსების შესახებ მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილება (მოხსენებითი ბარათი, დასკვნა და ა.შ)

მუხლი 30. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს.

2. მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში რეგისტრაციისას, წერილობით განცხადებაზე ასლების სახით თანდართული ყველა დოკუმენტი ადმინისტრაციული სამსახურის პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ უნდა შედარდეს დედანთან. წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ მათ შესასწავლად და სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე შესაბამისი ბრძანების პროექტის მოსამზადებლად ეგზავნება სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს.

მუხლი 31. სამსახურის მიერ განცხადებების განხილვა

1.მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში

სამსახურის მომზადებული ბრძანებისპროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

მუხლი 32. სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1.სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სოციალური დახმარების გაცემის საკითხის გადაწყვეტა ხდება მკაცრად, ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

3. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები (დახმარების დანიშვნა გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა) ბენეფიციართა საქმეში. ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის საცხოვრებელი სახლების გამოლენა, აღრიცხვა და ა.შ.

4. ყოველთვიური ინფორმაცია დახმარების დანიშვნის ან შეწყვეტის შესახებ, დასკვნის სახით, სამსახურის უფროსის მიერ ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს ხელმოსაწერად კონტინგენტის მონაცვლეობის სიებთან ერთად.

მუხლი 33. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც სამსახურის ბრძანების პროექტის საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის მე-12, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).

მუხლი 34. ანგარიშის წარდგენა

ინფორმაცია განხილული განცხადებების, გაცემული დახმარებების შესახებ კვარტალში ერთხელ

(ჯამურად) მომდევნო კვარტლის პირველი თვის 15 რიცხვამდე წარედგინოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს